II კვარტალი, 2023 წ.

კვარტალური მაკროეკონომიკური მიმოხილვა*

კვარტალის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- 2023 წლის II კვარტალში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 7.4%-ით გაიზარდა, რაც აღემატება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მაისის თვეში პროგნოზირებულ 6.4%-ს.
- 2023 წლის II კვარტალში წლიური ინფლაცია 1.6%-ს გაუტოლდა, რაც მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლებია.
- 2023 წლის II კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის დადებითმა მთლიანმა სალდომ 77.4 მლნ ლარი შეადგინა.
- მთლიანი სახელმწიფო ვალი ზრდის ტენდენციას ავლენს, შემცირებულია საგარეო ვალის წილი მთლიან სახელმწიფო ვალში. კერძოდ, 2023 წლის II კვარტალში საგარეო ვალის წილმა 74.1% შეადგინა, მაშინ როდესაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდში 78.9% იყო.
- 2023 წლის I კვარტალში გაუმჯობესდა საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა, კერძოდ, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირდა (-67.1%) და 201.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.
- 2023 წლის II კვარტალში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 5,066.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით.
- 2023 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვის მთლიან მოცულობაში 29.8%-დან 30.3%-მდე გაიზარდა.
- წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის II კვარტალში ფულადი გზავნილები 10.5%-ით შემცირდა და 1,111.3 მლნ დოლარი შეადგინა.
- მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი 2023 წლის II კვარტალში 0.5%-ული პუნქტით შემცირდა და 10.5%-ით განისაზღვრა.
- ლარის გაცვლითი კურსი გამყარების ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, აშშ დოლარის მიმართ წინა კვარტალთან შედარებით 3.0%-ით, ხოლო 2022 წლის II კვარტალთან შედარებით 17.1%-ით გამყარდა.
- დოლარიზაციის მაჩვენებელი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა კვარტლის ცვლადს

1. რეალური სექტორი

2023 წლის II კვარტალში, სტატისტიკის სამსახურის წინასწარი შეფასებით, მშპ-ის საშუალო რეალურმა ზრდამ 7.4% შეადგინა.

საბიუჯეტო ოფისის მიერ 2023 წლის მაისში გაკეთებული პირველი კვარტლის ეკონომიკური ზრდის შეფასება შეადგენდა 6.4%[1]-ს, რაც ითვალისწინებდა რუსეთ-უკრაინას შორის საომარი მდგომარეობის გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წლის II კვარტალში მშპ-ს პოტენციური დონე ჩამორჩებოდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შეფასებულ მონაცემს, შესაბამისად მშპ-ს გაპი იყო დადებითი და 1.5%-ს გაუტოლდა. უნდა აღინიშნოს, რომ წინა კვარტალში მშპ-ის გაპი დადებითი 1.8% იყო.





2023 წლის I* კვარტალში, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მშპ-ს ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი ექსპორტისა და ინვესტიციების ზრდას ჰქონდა.

მშპ-ის კომპონენტების ანალიზის მიხედვით, 2023 წლის I კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი ექსპორტის (14.2%) და ინვესტიციების (6.1%) კომპონენტებით იქნა განპირობებული. აღნიშნულ პერიოდში უარყოფითი გავლენა მშპ-ზე მოხმარებას (-1.1%) და იმპორტს (-11.6%) ჰქონდა.

[1] www.pbo.parliament.ge

2023 წლის I* კვარტალში მშპ-ის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი საბითუმო და საცალო ვაჭრობას ჰქონდა.

2023 წლის I* კვარტალში მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი[2] საბითუმო და საცალო ვაჭრობას ჰქონდა (14.4%). ასევე მნიშვნელოვანი წილითაა წარმოდგენილი უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (12.0%), დამამუშავებელი მრეწველობა (9.3%), სახელმწიფო მმართველობა, თავდაცვა, სოციალური უსაფრთხოება (7.9%), მშენებლობა (6.5%), ტრანსპორტი და დასაწყობება (5.9%) და განათლება (5.6%).

მშპ-ს დარგობრივი სტრუქტურა



ეკონომიკის ზრდა 2019 წელთან შედარებით



თვიურ მონაცემებზე დაკვირვებით ვლინდება, რომ ეკონომიკური ზრდის ტრენდი წრფივი არ არის.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წინასწარი მონაცემებით, 2023 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მშპ-ის ტრენდის[3] ზრდის ტემპმა 8.1% შეადგინა. 2022 წლის II კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 9.8% იყო. აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის აღდგენის მაღალი ტემპები შეინიშნება.

რეალური მშპ-ის ტრენდი



[2] წილი დათვლილია მშპ-ში მიმდინარე ფასებით
[3] ტრენდი წარმოადგენს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის შეფასებას სეზონურობის და შემთხვევითი რყევების გამორიცხვით



2023 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია კლების ტენდენციას ავლენს.

2023 წლის II კვარტალში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელმა 1.6% შეადგინა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. II კვარტალში ინფლაციის დონის ფორმირებაზე გავლენა იქონია ძირითადად სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ.ენერგიაზე, აირზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე და სხვა სასაქონლო ჯგუფებზე ფასების დინამიკამ. 2023 წლის II კვარტალში საბაზო ინფლაციამ (სურსათისა და ენერგომატარებლების ფასების გამორიცხვით, რომლებიც მაღალი მერყეობით გამოირჩევიან) 4.3% შეადგინა.

2. ფისკალური სექტორი



2023 წლის II კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2023 წლის II კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 24.2%-ით გაიზარდა და 5,798.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების შეძენამ 17.6%-ით მოიმატა და 5,817.3 მლნ ლარს გაუტოლდა.

2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საოპერაციო სალდოს მაჩვენებელი 628.7 მლნ ლარით გაიზარდა და 1,291.9 მლნ ლარი შეადგინა. დადებითი მთლიანი სალდო 77.4 მლნ ლარით განისაზღვრა. შედარებისათვის, წინა წლის II კვარტალში უარყოფითი მთლიანი სალდო 143.6 მლნ ლარს შეადგენდა.

2023 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 23.9%-ით გაიზარდა და 4,899.7 მლნ ლარით განისაზღვრა.

2023 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადები 37.0%-ით გაიზარდა და 2,310.8 მლნ ლარი შეადგინა, არაპირდაპირმა გადასახადებმა კი 14.2%-ით მოიმატა და 2,588.9 მლნ ლარს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში გრანტების კომპონენტი შემცირდა 25.5%-ით და 30.7 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო სხვა შემოსავლებმა 28.9%-ით მოიმატა, რამაც 868.3 მლნ ლარი შეადგინა.





2023 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, როგორც მიმდინარე ხარჯები, ასევე არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები ზრდის ტენდენციას ავლენს.

2023 წლის II კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები 4,506.8 მლნ ლარს შეადგენს, ანუ გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 12.5%-ით მეტს. არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 1,044.6 მლნ ლარს უტოლდება, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემს 10.8%-ით აჭარბებს. აღნიშნულ პერიოდში 21.2%-ით არის გაზრდილი ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე, რამაც 714.1 მლნ ლარი შეადგინა. შრომის ანაზღაურებაზე ხარჯებმა 642.1 მლნ ლარი შეადგინა (მოიმატა 20.4%-ით), ხოლო სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებმა - 1,746.0 მლნ ლარი (მოიმატა 9.9%-ით). დანარჩენი ხარჯები (პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სხვა დანახარჯები) 8.5%-ით გაიზარდა და 1,404.6 მლნ ლარით განისაზღვრა.



2023 წლის II კვარტლის ბოლოს - 30 ივნისის მდგომარეობით სახელმწიფო ვალის ნაშთმა ნომინალურ გამოსახულებაში 30,055 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2.3%-ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

2023 წლის II კვარტლის ბოლოს სახელმწიფო ვალის მოცულობაში საგარეო ვალის წილი 74.1%-ს შეადგენს (2022 წლის II კვარტლის ბოლოს - 78.9%), ხოლო საშინაო ვალის წილი - 25.9%-ს (2022 წლის II კვარტლის ბოლოს - 21.1%).



3. საგარეო სექტორი



2023 წლის I კვარტალში საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო დაფიქსირდა.

2023 წლის I კვარტალში, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითმა სალდომ 201.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 67.1%-ით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. მშპ-თან მისი თანაფარდობის მაჩვენებელი -3.2%-ით განისაზღვრა. მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების მიხედვით, საქონლით სავაჭრო ბალანსისა და წმინდა შემოსავლების დეფიციტს ნაწილობრივ ფარავს მიმდინარე ტრანსფერტების და მომსახურების დადებითი სალდო, საიდანაც აღსანიშნავია მოგზაურთა მომსახურების მნიშვნელოვნი დადებითი დინამიკა. კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, 2023 წლის I კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 102.0%-ით გაიზარდა და 795.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.



2023 წლის I კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა.

ამ პერიოდში წმინდა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 383.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის მიმართ 6.1%), რაც 16.4%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.





2023 წლის II კვარტალში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 5,066.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით.

2023 წლის II კვარტლის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვების ოდენობა 5,066.7 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 29.2%-ით მეტი.



2023 წლის II კვარტალში საქონლით საგარეო ვაჭრობაში ექსპორტის და იმპორტის ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2023 წლის II კვარტალში საქონლის ექსპორტი 14.8%-ით გაიზარდა და 1,591.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქონლის იმპორტის 11.8%-იანი ზრდა დაფიქსირდა, რაც 3,657.0 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. საანალიზო პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 30.3%-ით განისაზღვრა. 2023 წლის I-II კვარტალში უმსხვილეს საექსპორტო საქონელს მიეკუთვნებოდა მსუბუქი ავტომობილები (31.8% ექსპორტის მთლიან მოცულობაში), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (12.3%), ნატურალური ღვინოები (4.1%), ფეროშენადნობი (3.5%), აზოტოვანი სასუქები (3.4%) და სხვა.





2023 წლის II კვარტალში, გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები.

2023 წლის II კვარტალში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 1,651,655 შეადგინა, რაც 57.4%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც II კვარტალში 1,463,838 იყო (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შეადგენს 58.7%-ს). აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორის ვიზიტი განხორციელდა თურქეთიდან (366,136; ზრდა წინა წლის II კვარტალთან 131.2%), რუსეთიდან (320,845; ზრდა 83.0%), სომხეთიდან (214,573; ზრდა 56.8%),

2023 წლის II კვარტალში შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 1,009.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 34.8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



2023 წლის II კვარტალში ფულადი გზავნილები შემცირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის II კვარტალში ფულადი გზავნილები 10.5%-ით შემცირდა და 1,111.3 მლნ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 40.0%) და ევროკავშირის ქვეყნები (29.3%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა ერაყიდან (384%-ით), ირლანდიიდან (114%-ით), გერმანიიდან (48%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (42%), თურქეთიდან (40%-ით), აშშ-დან (38%-ით), არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან (36%-ით) და სხვა.

ფულადი გზავნილები მკვეთრად შემცირდა რუსეთიდან (34%-ით), ყირგიზეთიდან (25%-ით), სომხეთიდან (24%) და სხვა.



4. მონეტარული სექტორი

2023 წლის II კვარტალში მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთმა 10.5% შეადგინა.

2021 წლის მარტიდან ინფლაციური ზეწოლის შერბილების მიზნით, მიზანშეწონილი გახდა მონეტარული პოლიტიკის თანდათანობით გამკაცრება. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით განაკვეთი 8.0%-დან 8.5%-მდე გაიზარდა, აპრილში 9.5%-მდე, აგვისტოში 10%–მდე, ხოლო დეკემბრის თვეში 10.5%-მდე. 2022 წლის მარტში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება განაკვეთის კვლავ 0.5%-ული პუნქტით 11.0%-მდე გაზრდის თაობაზე. 2022 წლის განმავლობაში, ასევე 2023 წლის 1 თებერვლისა და 29 მარტის გადაწყვეტილებებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელი (11.0%) დარჩა. 2023 წლის 10 მაისს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5%-ული პუნქტით შემცირდა და 10.5% შეადგინა.





2023 წლის II კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე 13.8%-ს შეადგენდა.

2023 წლის II კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, წინა კვარტალთან შედარებით, 0.39%-ული პუნქტით გაიზარდა და 13.8%-ით განისაზღვრა. ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 16.4% შეადგინა (0.42%-ული პუნქტით ნაკლები), ხოლო უცხოურ ვალუტაში სესხებზე - 9.5% (1.54%-ული პუნქტით მეტი).

2023 წლის II კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ლარის კურსი ყველა ძირითად ვალუტასთან მიმართებით გამყარდა.

2023 წლის II კვარტალში ლარის კურსი (პერიოდის საშუალო) აშშ დოლარის მიმართ, წინა კვარტალთან შედარებით 3.0%-ით, ხოლო 2022 წლის II კვარტალთან მიმართებით 17.1%-ით გამყარდა. 2022 წლის II კვარტალთან შედარებით, ლარი ასევე გამყარდა ევროსთან (14.8%-ით), თურქულ ლირასთან (54.4%), რუსულ რუბლთან (43.2%-ით), აზერბაიჯანულ მანათთან (17.3%-ით), სომხურ დრამთან (0.8%-ით) და უკრაინულ გრივნასთან (46.4%-ით) მიმართებაში.





2023 წლის II კვარტალში, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები (ნაშთები) გაიზარდა.

2023 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 7.4%-ით მოიმატა და 45,967 მლნ ლარი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (54.7%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, საანალიზო პერიოდის ბოლოს, ყველაზე მეტი - 21.3% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 19.0% - მშენებლობის, 18.7% - მრეწველობის, 13.6% - უძრავი ქონებით ოპერაციების და 7.4% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგებში.



2023 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე.

2022 წლის I კვარტალში დოლარიზაციის მაჩვენებელმა დეპოზიტებზე 58.2%, ხოლო სესხებზე 50.4% შეადგინა. 2022 წლის განმავლობაში კიდევ უფრო შემცირდა დოლარიზაციის მონაცემი და IV კვარტლის ბოლოს დეპოზიტებზე 53.0%-ით განისაზღვრა, ხოლო სესხებზე 44.8% დაფიქსირდა.

2023 წლის I კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 50.8% შეადგინა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 44.4%-ით განისაზღვრა. II კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 48.6% შეადგინა, რაც წინა კვარტალთან შედარებით 2.2%-ული პუნქტით, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით 8.6%-ული პუნქტით ნაკლები იყო. სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი 45.0%-ით განისაზღვრა, ანუ წინა კვარტალთან მიმართებით 0.7%-ული პუნქტით მეტი, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე კი 3.4%-ული პუნქტით ნაკლები.



5. სოციალური სფერო



2023 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, საარსებო მინიმუმი შემცირდა.

2023 წლის II კვარტალის ბოლოს - ივნისში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 225.4 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.7 ლარით, წინა კვარტალთან მიმართებით კი 1.4 ლარით ნაკლებია.

რაც შეეხება 2023 წლის II კვარტლის საარსებო მინიმუმის საშუალო მაჩვენებელს, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან მიმართებით გაზრდილია 2.5%-ით.

2023 წლის II კვარტალში, წინა წლის II კვარტალთან მიმართებით, ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები შემცირდა, განათლებაზე კი გაიზარდა.

2023 წლის II კვარტალში განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 556.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 20.3%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები 400.9 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 24.2%-ით ნაკლები.





2023 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა, ხოლო უმუშევართა რაოდენობა შემცირდა.

2023 წლის I კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობამ 1,271.9 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5.9%-ით მეტია (დაქირავებულთა წილი მთლიან დასაქმებულთა რაოდენობაში 67.9% შეადგენს, თვითდასაქმებულთა წილი კი 32.1%-ს). რაც შეეხება უმუშევართა რაოდენობას, საანალიზო პერიოდში 279.2 ათასი კაცით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.6%-ით ნაკლები. საანგარიშო პერიოდში უმუშევრობის დონემ 18.0% შეადგინა (1.4%-ული პუნქტით ნაკლები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით).

2023 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურება ზრდის ტენდენციას ავლენს.

2023 წლის I კვარტალში ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 716.1 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 6.3%-ით მეტია. რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, საანალიზო პერიოდში საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 1,759.1 ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18.9%-ით მეტი.



გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია